



მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისარათა საბჭოს და ეკონომიკური საბჭოს  
საქმეთა მმართველობის განოცემა

935 წ. დეკემბრის 7.

№ 30

ტფილისი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### სამოქალაქო სამართალი.

სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლი-  
ა შეტანის შესახებ.  
სამოქალაქო სამართლის კოდექსის 405  
ს შეცვლის შესახებ.

### სისხლის სამართალი.

სისხლის სამართლის კოდექსის 30 მუხლი-  
ა 2—3 შენიშვნის დამატების შესახებ.  
სისხლის სამართლის კოდექსისათვის  
581<sup>ე</sup> და 103<sup>ა</sup> მუხლების დამატებისა და

სამხედრო დანაშაულთა დებულების (სისხლის სა-  
მართლის კოდექსის დანართი) 1-ლი მუხლის  
შეცვლის შესახებ.

190. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 103<sup>ა</sup>  
და 105<sup>ე</sup> მუხლების დამატების შესახებ.  
191. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 166<sup>ა</sup>  
მუხლის დამატების შესახებ.

### სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

192. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექ-  
სის 27 მუხლის შეცვლის შესახებ.

## სამოქალაქო სამართალი

### 186. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

#### სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და  
ქრთველოს სსრ სახალხო კომისარათა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. მე 8 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„მ. სათანადო დაწესებულებას შეუძლია სრულწლოვანი პირი გამოაცხა-  
დოს არაკმეღობაუნარიან პირად, უკეთეს მას სულით ავადმყოფობის ან გონებ-  
ვი სისუსტის გამო არ შეუძლია გონიერად გაუძღვეს თავის საქმეს.“

2. მე-9 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„9. არასრულწლოვანს, რომელსაც 14 წელიწადი შეუსრულდა, შეუძლია დადგას გარიგება თავისი კანონიერი წარმომადგენლის (მშობელი, შვილად ამყვანი, მეურვე, მზრუნველი) თანხმობით. მას უფლება აქვს დამოუკიდებლად განკარგოს მის მიერ მინაღები სამუშაო ხელფასი და იგი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რასაც თავისი მოქმედებით მიაყენებს სხვა პირს.

არასრულწლოვანი, რომელმაც თვით შეიტანა თავის სახელზე ანაბარი სახელმწიფო შრომითს შემნახველ სალაროში, განკარგავს ამ ანაბარს კანონიერი წარმომადგენლის უმონაწილეოდ“.

3. მე-11 მუხლის მე 2 ნაწილი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„არასრულწლოვანი ან მეურნეობაში მყოფი პირის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მისი კანონიერი წარმომადგენლის (მშობელი, შვილად ამყვანი, მეურვე და მზრუნველი) საცხოვრებელი ადგილი“.

4. 22 მუხლს დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა 2. სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს და ორგანიზაციისათვის, კოოპერატიული ცენტრისა და შენაერთისათვის და კოოპერატიულ სისტემაში შემავალი პირველადი კოოპერატივისათვის უფადო სარგებლობად მიჩნეულ მიწის ნაკვეთზე აგებული შენობა და აკრთიფი ის შენობა, რაც ამ ნაკვეთზე იყო მისი უფადო სარგებლობად გადაცემამდე, შეიძლება გასხვისებულ იქნას მხოლოდ ამ შენიშვნაში ჩამოთვლილ დაწესებულებასა, საწარმოსა და ორგანიზაციაზე“.

5. 54 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა. კერძო პირის საკუთრების უფლება საეაქრო ნავჭურჭელზე მოწესრიგდება სსრ კავშირის საეაქრო ზღვიანობის კოდექსით (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 41 №-ი, მუხ. 366) და შინაგან წყალთა ტრანსპორტის წესდებით (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 55 №-ი, მუხ. 582), კუთვნილებსამებრ“.

6. 57 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა. კოოპერატიული ორგანიზაციის საკუთრების უფლება საეაქრო ნავჭურჭელზე მოწესრიგდება სსრ კავშირის საეაქრო ზღვიანობის კოდექსით (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 41 №-ი, მუხ. 366) და შინაგან წყალთა ტრანსპორტის წესდებით (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 55 №-ი, მუხ. 582), კუთვნილებსამებრ“.

7. 57<sup>1</sup> და 57<sup>2</sup> მუხლები (საქ. კან. კრ. 1929 წ. მე-13 №-ი, მუხ. 123)

ამოიშალოს.

8. დაემატოს 68<sup>1</sup>-ა მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„68<sup>1</sup>-ე. ეული და უმეთვალყურო საქონლის განკარგვა განისაზღვრება სპეციალური კანონით (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 24 №-ი, მუხ. 295).“

9. 71 მუხლის მე-5 ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-16 №-ი, მუხ.

171) ამოიშალოს.

10. 71 მუხლის მე-2 შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-16 მუხ. 171) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა 2. საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობას მიწის ნაკვეთი შენობის ასაგებად, აღსადგენად ან დასამთავრებლად მიეცემა, მისი ამორჩევისამებრ, ან ვადით აღნაგობის უფლების ხელშეკრულების თანახმად, ან უვადოდ სარგებლობისათვის (84<sup>ა</sup> მუხ.).

მუშათა საბინაო-კოოპერატიული ამხანაგობის მოთხოვნისამებრ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი და საქალაქო საბჭო მოვალეა შეცვალოს მასთან დადებული ხელშეკრულება აღნაგობის უფლების შესახებ უვადო სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთის მიცემის ხელშეკრულებით.

უკეთუ აღნაგობის უფლებაზე დაწესებულია გირავნობა, ხელშეკრულების გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ მოგირავნის თანხმობით“.

11. 83 მუხლში ამოიშალოს სიტყვები: „და მუშათა და გლეხთა ინსპექციის“.

იმავე მუხლის საბოლოო ფრაზა მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით: „უკეთუ აღმნავი არ დაეთანხმება კომისიის შეფასებას, მას უფლება აქვს მოითხოვოს შეფასების გადიდება საერთო-სასამართლო წესით“.

12. 84 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„84. 71-83 მუხლებში აღნიშნულ საფუძველზე შეიძლება გაცემულ იქნას აღნაგობის უფლებით მიწის ნაკვეთი:

- ა) დაუმთავრებელი შენობით—დასამთავრებლად;
- ბ) დაქცეული შენობით—აღსადგენად;
- გ) ისეთი შენობით, რომელსაც შეიძლება მიეშენოს ახალი შენობა არსებული შენობის კედლების გამოყენებით;
- დ) ისეთი შენობით, რომელსაც შეიძლება დაეშენოს ახალი სართულები;
- ე) მცირეზომიანი და მცირეუბანი შენობით, რომლის გადაკეთებასაც დიდიკუბატურიან და დიდფასიან სახლად ადგილობრივი საბჭო მეურნეობრივი თვალსაზრისით მიზანშეწონილად სცნობს;
- ვ) ისეთი შენობით, რომელიც უვადოდ (ცარიელი) სტოვებს დასასახლებელი ნაკვეთის თვალსაზრისით ნაწილს, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას არსებულ შენობებთან საერთო ეზოთი და წყალსადენის, კანალიზაციის და ცენტრალური გათბობის ერთიანი ქსელით ტექნიკურად დაკავშირებული დამატებითი შენობების ასაგებად;

ამასთანავე, აუცილებელია, რომ განზრახული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება შეადგენდეს არა ნაკლებ არსებული შენობების ღირებულების ოცდაათი პროცენტისა.

13. 84<sup>ა</sup> მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1926 წ. მე-4 № ი, მუხ. 86) და 84 მუხლი (1929 წ. 23 №-ი, მუხ. 285) ამოიშალოს.

14. „სანიეთო სამართლის“ კარს დამატოს თავი II<sup>1</sup> (მუხ. 84<sup>ა</sup>) შემდეგი შინაარსისა:

„II<sup>1</sup>. მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების უვადოდ სარგებლობის უფლების უფლება“.

„84<sup>3</sup>. სახელმწიფო დაწესებულობას, საწარმოს და ორგანიზაციას, კოოპერატიულ ცენტრს და შენაერთს, აგრეთვე კოოპერატიულ სისტემაში შემავალ პირველადი სახის კოოპერატივის მიწის ნაკვეთები მშენებლობისათვის ეძლევა უვადოდ სარგებლობის უფლებით სპეციალურ კანონში გათვალისწინებული წესისამებრ (დანართი).

ამასთანავე, საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობას შეეფარდება 71 მუხლის მე-2 შენიშვნაში აღნიშნული წესები“.

15. 154<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 23 №-ი, მუხ. 285) ამოიშალოს.

16. 155 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-ი, მუხ. 72) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„155. უკეთუ ქირავნობის ხელშეკრულება დადებულია ვადის აღუნიშნავად, იგი განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებად ითვლება, და თვითეულ მხარეთაგანს უფლება აქვს მოსპოს ხელშეკრულების მოქმედება ყოველ ჟამს, აცნობებს-რა ამას მეორე მხარეს: როდესაც დაქირავებულია საწარმო, ან სადგომი სავაჭრო-სამრეწველო საწარმოსათვის, ან საცხოვრებელი სადგომი—სამი თვით ადრე, ხოლო როდესაც დაქირავებულია სხვა რამ ქონება—ერთი თვით ადრე“.

17. 155 მუხლის 1-ლი და მე-2 შენიშვნები (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ. მე 3 №-ი, მუხ. 72 და 1926 წ. მე-4 №-ი, მუხ. 86) ამოიშალოს.

18. 156 მუხლის მე-2 შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1926 წ. მე-4 №-ი, მუხ. 86) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა 2. ამა მუხლის მოქმედება არა ვრცელდება აღნაგობის ხელშეკრულების თანახმად აგებულ, აღდგენილ, შენება-დამთავრებულ, მიშენებულ ან გადაკეთებულ სახლებში (71—84<sup>3</sup> მუხ.) მცხოვრებ პირებზე და განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულების, საწარმოს და ორგანიზაციის მიერ მისთვის უვადოდ სარგებლობის უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე აგებულ სახლებში მცხოვრებ პირებზე (84<sup>3</sup>).

უკეთუ გამქირავებელი არ მოისურვებს განაგრძოს ხელშეკრულება და დამქირავებელი იუარებს სადგომის განთავისუფლებას, გამოსახლება მოხდება სასამართლო წესით“.

19. 166 მუხლის (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-ი, მუხ. 72) საბოლოო ფრაზა, დაწყებული სიტყვებიდან: „გამქირავებელს უფლება აქვს“..... ამოიშალოს.

20. დამატოს 169<sup>1</sup> მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„169<sup>1</sup>. უკეთუ შენობიანი მიწის ნაკვეთი მიეცა უვადოდ სარგებლობისათვის განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებას, საწარმოს ან ორგანიზაციას,



არსებული საიჯარო ხელშეკრულება ამ შენობის სარგებლობის უფლების შესახებ ძალასა ჰკარგავს. ამასთანავე, მოიჯარის ყველა მოვალეობა მესამე პირების მიმართ, რაც დაკავშირებულია ამ შენობის სარგებლობასთან, გადადის მიწის ნაკვეთის უფალოდ მოსარგებლებზე“.

21. 421 მუხლის მე-3 შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 26 №-ი, მუხ. 338) და 435 მუხლი შენიშნითურთ (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ. მე-3 №-ი, მუხ. 72) ამოიშალოს.

22. დამატოს 436 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„436. იმ მენაბარეს, რომელსაც შეაქვს ანაბარი როგორც ფულად, ისე ფასიანი ქაღალდის სახით სახელმწიფო შრომითს შემნახველ სალაროში, ანაბარი ვადით მოთხოვნამდე ან მარტივ მიმდინარე ანგარიშზე სახელმწიფო ბანკში ან სსრ კავშირის სავარყო ვაჭრობის ბანკში, აგრეთვე ანაბარი სახელმწიფო სესხის ან მთავრობის მიერ გარანტირებული სესხის ობლიგაციების სახით საკრედიტო დაწესებულებაში, ნება ეძლევა აღნიშნოს ის პირი ან პირნი, რომელთაც ანაბარი უნდა მიეცეს მენაბარეს სიკვდილის შემთხვევაში.“

ასეთი განცხადება უნდა იყოს წერილობითი; ამასთანავე, ანაბარი შეიძლება მიეცეს როგორც ფიზიკურ პირს, იმის მიუხედავად, მემკვიდრეა იგი მენაბრისა, თუ არა, აგრეთვე იურიდიულ პირსაც.

ის ანაბარი, რომლის შესახებ ასეთი განცხადებაა შეტანილი, სამკვიდროს შედგენილობაში არ შედის და მემკვიდრეობის წესები მასზე არ გავრცელდება. თუ ასეთ ანაბარს მიიღებს ის პირი, ვინც მენაბარის მემკვიდრეა, ეს ანაბარი სამკვიდრო წილად არ ჩაირიცხება.

შენიშვნა. უკეთუ მენაბარეს აღნიშნული მითითება არ გაუკეთებია სიკვდილის შემთხვევისათვის, ანაბარს, მენაბარის სიკვდილის შემთხვევაში, შეეფარდება საერთო წესები მემკვიდრეობის შესახებ“.

23. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისარათა საბჭოს 1933 წ. ივნისის 15-ის დადგენილება „განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის სამშენებლოდ, უფადო სარგებლობის უფლებით, მიწის ნაკვეთების გადაცემის შესახებ“) 1-21 მუხლი—საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 23 № ი, მუხ. 191) ჩართულ იქნას სამოქალაქო სამართლის კოდექსში 84<sup>ა</sup> მუხლის დანართად და შეტანილ იქნას მასში შემდეგი ცვლილება:

ა) დამატოს მე-9<sup>ა</sup> მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„9<sup>ა</sup>. საბინაო-სამშენებლო ამხანაგობის კუთვნილი შენობის გასხვისებას და დაგირავებას და მასზე კერძო პირის გადახდევინების მიქცევას შეეფარდება სათანადოდ ის წესები, რაც დადგენილია აღნიშნული ამხანაგობის კუთვნილი აღნაგობის უფლების გასხვისებისა და დაგირავებისათვის და ამ უფლებაზე კერძო პირის გადახდევინების მიქცევისათვის, და რაც აღნიშნულია სამოქალაქო სამართლის კოდექსის 79<sup>ა</sup>, 79<sup>ბ</sup>, 81<sup>ა</sup> და 87<sup>ა</sup> მუხლებში“;

№ 31  
 1935 წლის  
 11 თებერვალი

ბ) მე-19 მუხლში სიტყვების „საცხოვრებელი სადგომების გამოყენებისას სასაქონლო გადასახადების უფლებანი“-ს შემდეგ ჩართულ იქნას მინიშნება: „(სამოქალაქო სამართლის კოდექსის 156 მუხლის მე-2 შენიშვნა და 166 მუხლის მე-2 შენიშვნა)“;

გ) მე-20 მუხლში საბოლოო ფრაზა მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით: „1935 წ. იანვრის 1-ის შემდეგ სასაქონლო დაწესდება ამა დანართის შესაბამისად“;

დ) 21 მუხლის შესავალი ნაწილი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით: „საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი გამოსცემს, საქართველოს სსრ ფინანსთა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან ერთად, ინსტრუქციას, რომლითაც გაითვალისწინება.....“;

ე) იმავე დადგენილების 22 მუხლი ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ფლენტი.

1935 წ. ოქტომბრის 16. № 83/1432ა.

ტფილისი.

### 187. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 405 მუხლის შეცვლის შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის კოდექსების დამატების შესახებ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის ივლისის 29-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ-ის კან. კრ. 1935 წ. 41 №-ი, მუხ. 344), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 405 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„405. არაქმედობაუნარიანი პირი პასუხს არ აგებს მის მიერ მიყენებული ზიანისათვის. მის მაგიერ პასუხს აგებს ის პირი, ვინც ვალდებულია მასზე ზედამხედველობა იქონიოს.

არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის, მე-9 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, არასრულწლოვანთან ერთად პასუხს აგებენ აგრეთვე მშობელნი და მეურვენი“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ფლენტი.

1935 წ. ოქტომბრის 16. № 85/1434-ა.

ტფილისი.

## სისხლის სამართალი

## 188. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 30 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლების მე-19 მუხლის დამატების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მაისის 28 ის დადგენილების შესაბამისად სსრკ კან. კრ. 1935 წ. 30 №-ი, მუხ. 235), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის (1933 წლის გამოცემა) 30 მუხლს დაემატოს მე-3 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა 3. იძულებითი მუშაობის მოხდის დრო, სხვათა შორის მსჯავრდადებულის მუშაობის ადგილასაც, არ ჩაითვლება საერთო შრომის სტაჟში და კვალიფიკაციის განსაზღვრისათვის საჭირო სტაჟში, აგრეთვე იმ მუშაობის სტაჟში, რაც იძლევა პენსიისა და სხვა შეღავათების და უპირატესობის მიღების უფლებას (სამუშაო ხელფასის მომატება ნაწახურეობის წელთა გამო და სხვა მისთ).

ნამსახურეობის წელთა გამო სამუშაო ხელფასზე დარიცხული წანამატის გაცემა იძულებითი მუშაობის მოხდის დროის განმავლობაში შეჩერებულუნდა იქნას“.

სრ. საქ. ც.ა.კ.ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი თ. უღენტი.

1935 წ. ნოემბრის 3. № 90/1503.

ტფილისი.

## 189. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 58<sup>17</sup>-დ, 58<sup>17</sup>-ე და 108<sup>2</sup> მუხლების დამატებისა და სამხედრო დანაშაულთა დებულების (სისხლის სამართლის კოდექსის დანართი) 1-ლი მუხლის შეცვლის შესახებ.

„სსრ კავშირის საჰაერო კოდექსის დამტკიცების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომი-

სართა საბჭოს 1935 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილების მე-3, 4 და 6 მუხლებს შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 43 №-ი, მუხ. 359-ა), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დაემატოს 58<sup>17</sup>-დ, 58<sup>17</sup>-ე და 103<sup>4</sup> მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„58<sup>17</sup>-დ. სამოქალაქო ავიაციისა და სამოქალაქო ჰაერნაოსნობის მომუშავეთა მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის წესების დარღვევა (ჰაეროპორტის უფროსის მიერ საჰაერო ნავსურჭლის საფრენად გამოშვების წესების დარღვევა, ჰაეროპორტის უფროსის უგანჯარგულებოდ ჰაეროპორტიდან გამოფრენა, ფრენის წესების დარღვევა და სხვა მისთ.), უკეთუ ამ დარღვევას მოჰყვა შეიძლება მოჰყოლოდა საჰაერო ნავსურჭლის ან ფრენისთვის მიწაზე არსებული აწყობილობის დაზიანება თუ განადგურება ანდა ადამიანთა უბედური შეთხვევა, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ათ წლამდე, ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში — უმაღლეს სასჯელს“.

„58<sup>17</sup>-ე. საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევა (სსრ კავშირში შემოფრენა და სსრ კავშირიდან გაფრენა ნებადაურთველად, ნებართვაში აღნიშნული მარშრუტების, დაშვების ადგილების, საჰაერო კარიბჭის, აფრენის სიმაღლისა და სხვა პირობების არდაცვა), უკეთუ არ არის ნიშნები სამშობლოს ღალატის ან სხვა კონტრარევოლუციონური დანაშაულისა, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა ან ჯარიმას ათი ათას მანეთამდე, საჰაერო ნავსურჭლის კონფისკაციით ან უკონფისკაციოდ“.

„103<sup>4</sup>. სსრ კავშირის საჰაერო კოდექსით დადგენილი და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს მიერ გამოცემული საჰაერო მიმოვლის წესის და უშიშროების დაცვისა და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ქონების დაცვის წესების დარღვევა, აგრეთვე სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საანტიარო და სახანძრო წესების დარღვევა, უკეთუ ამ დარღვევას მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა მძიმე შედეგი და იგი არ წარმოადგენს დამრღვევის სათანამდებობო დანაშაულს, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ან ჯარიმას სამი ათას მანეთამდე“.

2. სამხედრო დანაშაულთა დებულების (კოდექსის დანართი — საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-19 №-ი, მუხ. 170; 1935 წ. მე-14 №-ი, მუხ. 82) 1-ლი მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„1. სამხედრო დანაშაულად ჩაითვლება სამხედრო სამსახურის შესრულების წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რასაც ჩაიდენს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახური და სათადარიგოდ ჩარიცხული სამხედროვალდებული პირი — ერთისა და მეორისაც მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში ყოფნის დროს.“



საქართველოს  
შინაარსი

**შენიშვნა 1.** ამა დებულების სათანადო მუხლის მიხედვით აგებენ სამსახურის შესასრულებლად დადგენილი წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის აგრეთვე: განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და ნაგებობათა გამხედროებული დაცვისა და გამხედროებული სახანძრო დაცვის სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირი, მუშათა და გლეხთა მილიციის ოპერატიულ-სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირი, შრომა-გასწორების დაწესებულებათა ოპერატიული და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირი, წყალქვეშა სამუშაოების ექსპედიციის („ებრონ“) მომუშავე, სამოქალაქო საპაერო ფლოტის თავმდგომთა შედგენილობის პირი და სამოქალაქო საპაერო ფლოტის საფრენოსნო სკოლის მოსწავლე და აგრეთვე ზურგის ლაშქრის ნაწილებისა და რელიგიური ორგანიზაციის გამო სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებულთაგან შედგენილი შრომითი ნაწილების თავმდგომთა და მერიცეთა შედგენილობის პირი.

**შენიშვნა 2.** იმ პირთა თანამონაწილეობა სამხედრო დანაშაულში, ვინც ამა მუხლში აღნიშნული არ არის, გამოიწვევს ამა დებულების სათანადო მუხლში გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარის მოადგილე ბ. მდივანი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი თ. უღენტი.

1935 წ. ნოემბრის 3. № 89/1504.

ტფილისი.

## სისხლის სამართალი

### 190. დადგენილება ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 103<sup>5</sup> და 103<sup>6</sup> მუხლების დამატების შესახებ.

აფეთქება-საშიშ წარმოებებში საწარმო-ტექნიკური დისციპლინის და მუშაობის პირობების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის ივლისის 17-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 308 №-ი, მუხ. 322), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 103<sup>5</sup> და 103<sup>6</sup> მუხლები შემდეგი შინაარსისა:



„103<sup>ბ</sup>. დარღვევა ტექნიკური რეჟიმის, საწარმოო-ტექნიკური ღონისძიებების ან მუშაობის პირობებისა, რაც უზრუნველყოფს წარმოების უშიშროებას, და აგრეთვე თამბაქოს მოწევა, მთვრალად მისვლა ან ძილი აფეთქება-საშიშ საამქროს წარმოებაში ისჯება

თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.

იგივე მოქმედება, უკეთეს მან გამოიწვია აფეთქება ან ხანძარი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა“.

„103<sup>გ</sup>. ტექნიკური რეჟიმის ან მუშაობის პირობების დარღვევა აფეთქება-საშიშ საამქროში იმ პირის მიერ, ვინც პასუხისმგებელია დადგენილი საწარმოო ტექნიკური დისციპლინისათვის, ისჯება

თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე.

იგივე მოქმედება, უკეთეს მან გამოიწვია აფეთქება ან ხანძარი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ხუთი წლისა“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს ოს თავმჯდომარე გ. მაგლობლიშვილი.

სრ. საქს ც.ა.კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1935 წ. ოქტომბრის 16. № 82/1431 ა.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 251 №-ში 1935 წ. ოქტომბრის 28.

## 191. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 166<sup>1</sup> მუხლის დამატების შესახებ.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის კოდექსების დამატების შესახებ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის ივლისის 29-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 41 №-ი, მუხ. 344), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 166<sup>1</sup> მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„166<sup>1</sup>. მეურვეობის გამოყენება ანგარების მიზნით (საცხოვრებელი ფართობის დაჭერა, მშობლების გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ქონების გამოყენება და სხვ.) და მეურვეობაში მყოფი ბავშვების ზედამხედველობისა და საქირო მატერიალური დახმარების გარეშე დატოვება ისჯება

თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს ოს თავმჯდომარე გ. მაგლობლიშვილი.

სრ. საქ ც.ა.კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1935 წ. ოქტომბრის 16. № 84/1433-ა.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 253 №-ში 1935 ოქტომბრის 30.

# სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

## 192. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27 მუხლის შეცვლის შესახებ.

„სსრ კავშირის საპაერო კოდექსის დამტკიცების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 43 № ი, მუხ. 359-ა), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 27 მუხლში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

„ა“ ლიტერის შესავალ ნაწილში შემდეგ სიტყვებისა „წყალქვეშა სამუშაოების ექსპედიციის („ეპრონი“) ჩაერთოს სიტყვები: „სამოქალაქო საპაერო ფლოტის თავმდგომთა შედგენილობის პირი და სამოქალაქო საპაერო ფლოტის საფრენოსანო სკოლის მოსწავლე“;

იმავე „ა“ ლიტერის „ბ“ პუნქტში 58<sup>17</sup> მუხლზე მინიშნების შემდეგ ჩაერთოს მინიშნება 28<sup>17</sup>-დ მუხლზე.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. მღივანი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მღივანი თ. უღენტაი.

1935 ნოემბრის 3, № 91/1502.

ტფილისი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის.

მუშათა და გლეხთა მთავრობის

### კანონით და განკარგულებათს კრებული

— საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა —

— (გამოდის ქართულ და რუსულ ენაზე) —

ხელის მოწერის უასი 1936 წლისათვის.

(თეთრული ტექსტისა)

ერთი წლით—იანვრის 1-დან 10 მან. || ნახევარი წლით—იანვრის 1-დან 5 მან.  
დეკემბრის 31-მდე— || ივნისის 30-მდე—

**გ ა ნ რ ი ზ ე ბ ა**

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის  
**კანონთა და განკარგულებათა კრებულის**

უფასოდ დაგზავნიხათვის 1936 წელს

№№ რიგზე	დაწესებულებანი	ცალეხის რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს . . . . .	5
2	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს . . . . .	2
3	სასოფლო საბჭოებს . . . . .	1
4	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს . . . . .	3
5	საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს . . . . .	7
6	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს . . . . .	2
7	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იუსტიციის ცენტრალურ ორგანოებს . . . . .	3
8	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს . . . . .	12
9	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს . . . . .	5
10	სახალხო სასამართლოებს . . . . .	1
11	სარაიონო პროკურორებს . . . . .	1
12	სახალხო გამომძიებლებს . . . . .	1

ფხვი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ის 1935 წ. № 59. 3/მ. რედაქტორი ე. გამრცემელი  
საქმ. მმართველობა

ქალაქის ფორმატი 62X94 სანტი; 3/4 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48,500 სტამბ. ნიშანი  
გადავცა სტამბას 25/X; ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/XII; ტირაჟი 1,800  
თავლ. რწმ. № 87010 საქ. საბჭოთაბჭოს სტამბა შეფ. № 1378